საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15-16(317-318) 2024 წ. 1-31 აგვისტო ფასი 2 ლარი

პატივი მიაგეს აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას

8 აგვისტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გილაშვილთან,** მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელ **გია თათრიშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავდადებულთა მემორიალები თაიგულებით შეამკეს და პატივი მიაგეს აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

8 აგვისტოს ომიდან 16 წელი გავიდა... საქართველოში, რუსული ინტერვენციის შედეგად, საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო მოსამსახურე, და 14 პოლიციელი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო 1 747 - დაიჭრა. ***დაღუპულთა შორის იყვნენ ჩვენი გმირი თანამემამულეები - ბიორგი კირაკოზაშვილი და რევაზ მამისაშვილი.*** მათი საფლავები დღეს, ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა თაიგულებით შეამკეს და ოჯახის წევრების წინაშე, მადლიერება და თანადგომა კიდევ ერთხელ გამოხატეს.

ყურადღებაა!
ახალგაზრდული პროექტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, ა(ა)იპ "მომავალ ლიდერთა ჰაბი"-ს ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, 1 სექტემბრიდან 4 სექტემბრამდე ხორციელდება ახალგაზრდული პროექტი ***"აქტიური მოქალაქე და გარემოს დაცვა"***. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 18 - 29 წლამდე ახალგაზრდებს. პროექტის განმავლობაში საჭირო ყველა ხარჯი ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის მიერ.

კოჯბანში ტურისტული ცენტრი გაიხსნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი,** მთის ზონაში, სოფელ კოჯბანში ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული ცენტრის - "გრადუსის" ოფიციალურ გახსნას დაესწრო.

„მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსი -ბევრი საინტერესო შეთავაზებით უნიკალური შთაბეჭდილებას შეუქმნის ნებისმიერ ვიზიტორს. აღნიშნული პროექტი, უმნიშვნელოვანესია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ისტორიაში, რაც თავისთავად განაპირობებს ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებას და ტურიზმის განვითარებას. მნიშვნელოვანია მისი გეოგრაფიული მდებარეობა მაღალმთიანი ზონის არეალში. ვიცი რომ ბევრი კარგი გეგმა აქვთ პროექტის განმახორციელებლებს, როგორც ზაფხულის სეზონზე ასევე, ზამთრის სეზონზე. მინდა წარმატება ვუსურვო დამფუძნებლებს და ყველა ვიზიტორს სასიამოვნო მოგზაურობა - დაისვენონ მუნიციპალიტეტის მთის ზონაში და განახორციელონ წარმატებული ბიზნესი და ტურისტული ვიზიტები საგარეჯოში „ - განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

საქმიანი შეხვედრა
დაისახა პრობლემების გადაჭრის გზები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში **ავთანდილ გულიკაშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გილაშვილთან,** საქართველოს მელიორაციის ადგილობრივი სამსახურის წარმომადგენელთან, "ენერგოპრო ჯორჯიას" ხელმძღვანელთან, გარემოს დაცვის სააგენტოსა და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად სარწყავი სისტემის საექსპლუატაციო სამუშაოების დაგეგმვასთან დაკავშირებით, ელექტროგადამცემი სისტემის რეაბილიტაციისა და გარემოს დაცვის საკითხებზე სამუშაო სახის შეხვედრა გამართა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დეტალურად მოხდა სოფლის საჭიროებების გაცნობა, რაც ძირითადად სატუმბი სადგურების რეაბილიტაციას და სავარგულების გასარწყავიანებას ეხებოდა.

შეხვედრისას განხილული იქნა პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის" ფარგლებში პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრებისას გაჟღერებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ საკითხები, რომელიც დეტალურად აღირიცხა - გეგმურ შეხვედრაზე მათი გადაჭრის გზებსა და ამოცანებზეც იმსჯელეს.

მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ერთობლივი ზრუნვით

მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** საგარეჯოს "ჯეო ჰოსპიტალის" ახალ ხელმძღვანელთან **თამარ გამყრელიძესთან** გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა, რომლის მიზანიც ერთობლივი ორგანიზებით დაგეგმილი მოქალაქეების უფასო სამედიცინო მომსახურების შესახებ სერვისების დანერგა იყო, რაც ითვალისწინებს, პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ადმინისტრაციული ერთეულების ყველა მოსახლისთვის უფასო სამედიცინო სერვისებით სარგებლობას.

„ჩემი მიზანია, რომ დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობას მივცეთ სამედიცინო სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა და აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე". - აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა** საუბრისას.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ინფრასტრუქტურა-2024
საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

შეხვედრები მოსახლეობასთან

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ადგილზე გაცნობის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, *პირველ მოადგილესთან* **ემზარ კუჭუაშვილთან**, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ხელმძღვანელთან, **ბექა ფეიქრიშვილთან** ერთად სოფლების: **იორმუღანლოს, დუზაბრამის, ლამბალოს და თულარი-კაზლარის** მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრისას წარმოდგენილი იყო აღნიშნულ სოფლებში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ფოტომასალა, რომლის შესახებაც ადგილობრივ მოსახლეობას დაწვრილებითი ინფორმაცია პირადად მერმა მიაწოდა. შეხვედრაზე, ავთანდილ გულიკაშვილმა იორმუღანლოს ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე გააჟღერა ინფორმაცია და ადგილობრივებს პროექტის დაწყება მიულოცა.

ხიდის რეაბილიტაცია

სოფელ იორმუღანლოში, ხიდის რეაბილიტაციის წინა მოსამზადებელი, საგზაო მანიშნებლების მოწყობის სამუშაოები დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი,** პირველ მოადგილესთან **ემზარ კუჭუაშვილთან** ერთად კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა და რეკომენდაციები გააცნო. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 804 998,93 ლარით ფინანსდება და ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება.

აღნიშნული *ხიდი*, ამ ეტაპისათვის, ძირითადი *დამაკავშირებელი მონაკვეთია მუნიციპალიტეტის ცენტრსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 8 სოფელს* შორის.

მოგახსენებთ, რომ გასულ წელს, მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესწავლილი იქნა დაზიანებული ხიდის არსებული მდგომარეობა, რომლის შეფასების საფუძველზეც, მოხდა პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა.



სოფელი მზისგული

სოფელ მზისგულში პარალელურ რეჟიმში ორი სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ცენტრალური სკვერის მოწყობა - მრავალფუნქციური ატრაქციონების, საფეხმავლო ბილიკებისა და მოსასვენებელი სივრცეების მოწყობას ითვალისწინებს, რომელიც მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტების სამუშაოების ფარგლებში კი სოფელ მზისგულში, პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ საერთო კრებაზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შერჩეული ინიციატივის საფუძველზე, მემორიალის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

სოფელი ბადიაური

სოფელ ბადიაურში, ე.წ “მესეტყვეების” უბანში, გზის მოასფალტების სამუშაოების პირველი ეტაპი დაიწყო.

პროექტი, რომელიც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 234511 ლარით ფინანსდება, ათეულობით ოჯახს კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას შეუქმნის.

მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი,** ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან, ბექა ფეიქრიშვილთან ერთად სამუშაოების მიმდინარეობას დაესწრო, მოსახლეობას შეხვდა და მათი მოსაზრებები მოისმინა.

ადგილობრივებმა, თვითმმართველობის პირველ პირს მადლობა გადაუხადეს უმნიშვნელოვანესი და ისტორიული პროექტის განხორციელების ინიცირებისთვის, სტუმრობისთვის და საჭიროებების გათვალისწინებისთვის.



სოფელი დიდი ჩაილური

საბარეჯოს *მუნიციპალიტეტის მასშტაბით ისტორიული პროექტების ციკლი გრძელდება.*

სოფელ დიდ ჩაილურში მე-5 ქუჩის მცხოვრებლების მრავალი ათეული წლის პრობლემა უკვე გადაჭრილია.

დღეიდან, 100 ოჯახი 2 კილომეტრ გრძივ მეტრამდე ახლადრეაბილიტირებული გზით ისარგებლებს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტითა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 140 965 ლარით ფინანსდება და ასფალტის საფარისა და სანიაღვრე სისტემის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

სოფელი ხაშმი

სოფელ ხაშმში ცენტრალური სკვერის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდება და მოსასვენებელი- გასართობი სივრცისა და ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ემიგრანტი და საქართველო

როცა შენი სამშობლო გეძახის, პიხმობს...

სამშობლოს ნოსტალგია ისე მძაფრად არავის აქვს,როგორც ქართველსო, გეტყვიან იმ ქვეყნის მკვიდრნი, სადაც, რომელ ქვეყანაშიც დღესდღეობით იმყოფებიან ქართველები... არც ისეთი თანადგომა, ურთიერთდახმარება იციან,როგორც ქართველებმაო... ამიტომაცაა, ყველაზე ადვილად სამსახურს ქართველები შოულობენ, შემდეგ კი ერთგულების, ოჯახური სიმყუდროვის,ადამიანობის ეტალონებად მოიხსენიებენ ქართული ფენომენით გაკვირვებული ევროპელები თუ ამერიკელები... ანცვიფრებთ ქართველების სამშობლოს, მშობლიური კუთხეების სიყვარული და ისიც, თუ როგორ დაუშურვებლად შეუძლიათ ემიგრანტებმა ოფლითა და შრომით გამომუშავებული გასამრჯელო მეზობლისთვის, მეგობრისთვის, თანატოლის და ახალი ნათესავისთვის უშურველად გასცენ...

დიახ, ასე ცხოვრობენ ჩვენი, საგარეჯოელი ემიგრანტებიც. მათ შორისაა დედა-შვილი **ნინო და მარიამ აზარიაშვილები.** დღეს ნინოც და მარიამიც მშობლიურ სახლში არიან, სადაც გაიზარდნენ და საიდანაც წავიდნენ ემიგრაციაში. მარიამი დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველთა სტუმარია. აქედანვე გეტყვით, რომ მარიამისათვის ყველაზე გულისტკივილით სავსე ვიზიტია მშობლიურ საგარეჯოში. როგორ მოისწრაფოდა, როგორ მალ-მალე ითვლიდა თვეებს, კვირეებს, დღეებს აქ ჩამოსასვლელად. ჩამოვიდა და უკანასკნელად ჩაეხუტა გულში ვერაგი დაავადებით ქანცმილეული გამზრდელ პაპას და ივლისის ბოლოს სამარის კარამდეც მიაცილა, ერთი მუჭა მიწა მიაყარა იმ სიყვარულისა და ამაგის წილ, რაც პაპისაგან მიიღო.

–მარიამ, რამდენი წელია, რაც ემიგრანტი ხარ და გაიხსენე ის ემოციები – იზრდებოდი ბებოსთან, პაპასთან თითქმის თანატოლ დეიდა ქეთისთან, ქართველებში და წახვედი შენთვის სრულიად უცხო სამყაროში, სადაც დედა ემიგრანტის სტატუსით იყო...

– 9 წელია რაც ემიგრანტი ვარ, საქართველოში გავიზარდე, 7 წლის ასაკში კი დავტოვე ჩემი პატარა საქართველო და ემიგრანტის ბედი გავიზიარე. თავიდან ვერ ვხვდებოდი რას ნიშნავდა სხვა ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ მივხვდი, როგორ მიყვარდა ჩემი ქვეყანა, საქართველო და ასევე ჩემი ოჯახი, ვისთან ერთადაც მთელი ბავშვობა გავატარე. მომენატრა თითოეული მათგანის ჩახუტება, მახსენდებოდა პაპა როგორ მატარებდა ყველგან მხრებით ტკბილეულის საყიდლად, როგორ ზრუნავდა ბებო დღე და ღამე, როცა ავად ვხდებოდი, მახსენდებოდა თითოეული წუთი ჩემს დეიდასთან გატარებული, რომელიც დასავით მიყვარს.

– საქართველოდან წასვლის პირველი ემოციები და ყველაზე მეტად რა გახსენდება ლამაზად?

– წასვლისას ყველაზე ლამაზად ის დამამახსოვდა დეიდამ რომ თოჯინები მიყიდა, ორი ულამაზესი ქალთევზა იყო, და სამახსოვროდ გამატანა, რომელსაც დღემდე ვინახავ. თვითფრინავში რომ ვიჯექი და ფანჯრიდან რომ ვიყურებდი, ვხვდებოდი, რომ სადღაც შორს მივდიოდი და ცრემლები მომდიოდა. წასულიც არ ვიყავი, უკვე ყველაფერი მენატრებოდა.

– ეს მერამდენე ვიზიტია შენი საქართველოში?

– რაც ესპანეთში ვცხოვრობ სულ 6-ჯერ ვარ ჩამოსული საქართველოში, ყოველ ჩამოსვლაზე არ მინდა ესპანეთში დაბრუნება რადგან ძალიან მიყვარს საქართველო.

– როცა ბებო, ქეთი და შენი დეიდაშვილი – პატარა გიორგი ესპანეთში გეესტუმრნენ, როგორი იყო შენი ემოცია?!

– მე რომ ვერ მივდიოდი საქართველოში პირველი 4 წელი, დეიდამ, ბებომ და ჩემმა დეიდაშვილმა გიორგიმ გამაბედნიერეს და ჩამოვიდნენ ესპანეთში, ისე მიხაროდა ვერც კი გადმოვცემ სიტყვებით.

– როგორები არიან ესპანელები და თუ არის რაიმე მსგავსება ესპანელებსა და ქართველებს შორის?

– ძალიან განსხვავდება ესპანეთი და საქართველო ერთმანეთისაგან და ქართველებიც და ესპანელებიც,მაგრამ ორივე ქვეყანა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით საქართველო.

– როგორ მიგიღეს ქართველი მოსწავლე ესპანელმა მოსწავლეებმა? მით უმეტეს, ენა არ იცოდი...

– ძალიან თბილად მიმიღეს ესპანელმა ბავშვებმა, სკოლის პირველ დღეს ყველა მომიჯდა გვერდით და ყველა მეხმარებოდა ესპანური ენის შესწავლაში, არასდროს არ მაგრძნია თავი განსხვავებულად, ყველამ ძალიან თბილად მიმიღო. ერთ ენაზე არ ვლაპარაკობდით, მაგრამ მაინც ძალიან კარგად გვესმოდა ერთმანეთის. ყველას დახმარებით და მასწავლებლების დამსახურებით ძალიან მალე ვისწავლე ესპანური.

– სკოლაში თუ იყო შენს გარდა კიდევ ქართველი მოსწავლე?

– სკოლაში, რომელიც მე დავამთავრე, ერთადერთი ქართველი ვიყავი.

– ამჟამად რას აკეთებ, როგორი სწავლებაა ესპანურ სკოლაში? რომელ კლასში ხარ?

– ესპანეთში სკოლა საყოველთაო სავალდებულოა მე-10 კლასის ჩათვლით, მერე კი ყველა თავის პროფესიას ირჩევს. მე-11 და მე-12 კლასი ანუ ეგრეთ წოდებული ესპანურად, ბაჩიერატო, ამთავრებენ ის ბავშვები, რომელსაც უმაღლესში სწავლის გაგრძელება სურთ. ამჟამად ვსწავლობ ბაჩიერატოში.

– რას ნიშნავს ბაჩიერატო და რა პროფესიას აირჩევ სამომავლოდ?

– ბავშვობიდან ვოცნებობდი თეთრი ხალათი მცმოდა და ექიმი ვყოფილიყავი, და ეს ნაბიჯი რომ გადავდგი და ავირჩიე სამედიცინო საბოლოოდ, ჩემი ბიოლოგიის მასწავლებლის დამსახურებაა.

– თავისუფალ დროს როგორ ანაწილებ და რა არის შენი ჰობი?

– ხატვა ჩემი ცხოვრების ნაწილია, სამხატვრო სკოლაში არ მივლია. არის მომენტები, როცა შემიძლია ვხატო დაუსრულებლად, და თუ ნახატი არ დავამთავრე, არ ვანებებ თავს, შემიძლია საათობით ვხატო. ეს არის ჩემი ჰობი, რომელიც ძალიან მიყვარს და არასდროს მომბეზრდება.

– მაგრამ, სადაც შენ ცხოვრობ, თუ არიან ქართველი ემიგრანტები?

– მე ძალიან მიყვარს ჩემი ემიგრანტი ქართველი მეგობერები, ყველა ემიგრანტს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

– ვთქვათ გაიარე სასწავლო პროცესი, უმაღლესი სასწავლო საფეხურები დაეუფლე პროფესიას, შემდეგ, შემდეგ რას აპირებ?

– რადგან ჩემი პატარა საქართველო ძალიან მიყვარს და ასე ცარიელდება, მე გადავწყვიტე, საქართველოში დავბრუნდე და ჩემ მადლიან მიწა-წყალზე გავაგრძელო ცხოვრება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ ვიმოგზაურებ ესპანეთში, რადგან ჩემი მეორე სამშობლოა და ძალიან თბილად მიმიღო.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენ თანამემამულე, ამჟამად ესპანეთში მოღვაწე ემიგრანტს, ***საგარეჯოელ თეა ქურხულს*** რომელმაც დაარსა ქართული საკვირაო სკოლა "ბეღურა" მადრიდში . გააერთიანა ყველა პატარა ქართველი ემიგრანტი და უზომოდ დიდი შრომის ფასად უანგაროდ ქართველ ბავშვებს ასწავლის ქართულ წერა-კითხვას. მეამაყება და მადლობას ვუხდი თეა მასწავლებელს ჩემზე გაწეული ამაგისთვის.

ახალგაზრდობის წინსვლის ხელშეწყობისათვის

ზაფხული... არდადეგები... მოსწავლეები... მერე რა, რომ ზაფხულია

***საგარეჯოს** ცენტრალურ ბიბლიოთეკაში „სეზონური მუშაობა“ არ არსებობს, აქ ყველა განყოფილება თავის საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმესაა შეჭიდებული და საინტერესო ღონისძიებები სისტემატურად ტარდება. ივლისის ბოლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ბიბლიოთეკარ **ვერიკო კერატიშვილის** ხელმძღვანელობით საინტერესო ღონისძიება „ლეგენდიდან წიგნამდე“ ჩატარდა. დამსწრე საზოგადოებამ კარგად ნახა განყოფილების თანამშრომელთა თანადგომით და დახმარებით, ქალბატონი ვერიკოს ხელმძღვანელობით, მართლაც რომ საკმაოდ დიდი და საინტერესო შრომითი საქმიანობის შემდეგ რა ვრცელი ინფორმაცია მიიღო ჯერ მონაწილე მოსწავლეებმა და შემდეგ მსმენელმა საგარეჯოს შესახებ არსებული ლეგენდებისა და თქმულებების გაცნობის შემდეგ.*

რედაქციაში ღონისძიების მომზადების შესახებ სასაუბროდ მოვიწვიეთ ღონისძიების წამყვანი და მონაწილე **ლიზა ახვერდაშვილი.**

– გაგვაცანით თქვენი თავი, სკოლა ჰობი, რითი ხართ დაკავებული თავისუფალ დროს. მით უმეტეს, ახლა არდადეგებია.

– მოგესალმებით. მე ვარ ლიზა ახვედრაშვილი. ვსწავლობ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის მეათე კლასში. ჩემი ჰობი საერთოდ ფოტოხელოვნებაა. მიყვარს ულამაზესი ყვავილების გადაღება ბუნებისა და კერძოდ, სილამაზის გადმოცემა ფოტოების საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ არდადეგებია, მე ვაგრძელებ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას,მაგალითად ვიყავი წამყვანი საზაფხულო ფესტივალის: „გარეჯული საღამოები“-ს ღონისძიების „ლეგენდიდან წიგნამდე“.

გულახდილად გეტყვით,რომ ჩემი სასკოლო ცხოვრება ბოლო სამი წელია დატვირთულია სხვადასხვა პროექტებით, სადაც ყოველთვის გამარჯვებული ვარ.

– სასკოლო ცხოვრებიდან მოგვიყვეთ ყველაზე საინტერესო ეპიზოდი (ღონისძიება,კონკურსი).

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება ჩემთვის „ტექნიკის კონკურსი“ იყო. ამ გამარჯვებით სკოლას „მსხვილი ტექნიკა“ (კომპიუტერი, პროექტორი,პრინტერი) გადაეცა ასევე, განვახორციელე სამთვიანი პროექტი სახელწოდებით „ადრეული ქორწინება“, რისთვისაც ჩემ ნინოწმინდის საჯარო სკოლას საჩუქრად პროექტორის ეკრანი გადაეცა. ასევე, ვიყავი პროექტ „დიდგორელის“ ფინალის მონაწილე.

ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში გაზიარებული „ჩემი საუკეთესო გამოცდილება“, რისი მეშვეობითაც გავეცანი სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების გამოცდილებებს, ასევე მოსწავლეები გავიცანი პირადად, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან შედგა ჩემი მასშტაბური ღონისძიება, სახელად: „ნინოწმინდა, პალატები მეფეთა“... ეს ღონისძიება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ჩემს საყვარელ ადგილს, ჩემს ნინოწმინდას ეხებოდა. ამ ღონისძიებაში ძალიან დიდი შრომა ჩავდე, მე,როგორც ორგანიზატორმა, მაგრამ, გვერდით მყავდა უძვირფასესი ვერიკო კერატიშვილი, რომელიც დაუღალავად გვერდში მედგა. ამ ღონისძიებისათვის მოვიპოვე ძალიან ბევრი მასალები, რომლებიც ჩემთვის, ასევე საზოგადოებისთვის და მონაწილე ბავშვებისათვის, ყოველ რეპეტიციაზე იმდენად ამაყად კითხულობდნენ ბავშვები ლექსებსა და თქმულებებს ნინოწმინდაზე და ნინოწმინდის ტაძარზე,რომ სიტყვებით ვერ აღვწერ.

ძალიან სასიამოვნო იყო ყოველი დღე, რომელიც ამ ღონისძიების მომზადებისთვის გავატარე.

მინდა დიდი ***მადლობა გადავუხადო საგარეჯოს ცენტრალურ ბიბლიოთეკას და საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს, მადლობა* ვერიკო კერატიშვილს** ყველანაირად გვერდში დგომისათვის, ასევე მადლობა ბავშვებს აქტიური და მონდომებულიმონაწილეობისათვის.

– საინტერესო საგანი და პედაგოგი. რითია საინტერესო ცალკეული საგანი და პედაგოგი?

– მე გამორჩეული საგანი არ მაქვს. თითოეული საგანი ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ვერც მასწავლებლებს გამოვარჩევ, რადგან ყველა უძვირფასესი და თავისი საქმის პროფესიონალია

– თქვენ რომ სკოლის დირექტორი იყოთ, რას გააკეთებდით? რა არ მოგწონთ სასკოლო ცხოვრებაში?

– ჩვენი სკოლის შენობა აშენებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში, არის საინტერესო, აქვს სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი,ბიბლიოთეკა,მაგრამ უკვე სარეაბილიტაციოა, თორემ მართლაც საინტერესო პროექტითაა აშენებული. ალბათ შეიცვლება ინტერიერიც, გვყავს ძალიან ენერგიული დირექტორი ქ-ნი ლია შენგელიძე, რომელიც შემოქმედი ადამიანია, პოეტი და რაც მთავარია, გულისხმიერი.

– როგორ მოხვდით ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში,როდის და როგორია თქვენი თანამშრომლობა. ღონისძიებამ საგარეჯოს შესახებ ლეგენდები რა მოგცათ, როგორ ემზადებოდით,როგორ მოაგროვეთ საჭირო მასალა?

– ჩემი და საბავშვო ბიბლიოთეკის ურთიერთობა დაიწყო ღონისძიების „გამარჯობა აფხაზეთო, ჩემო! (ხელმძღვანელი ვ. კერატიშვილი). ჩვენი თანამშრომლობა ორმხრივად ნაყოფიერია. უკვე ორი წელია, რაც საბიბლიოთეკო ღონისძიებებში ვიღებ მონაწილეობას.ამ ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი კარგი მოგონება დამრჩა და ასევე, ძალიან დიდი ცოდნა, ყოველი ღონისძიებიდან იმდენი საინტერესო

დასასრული მე- 5 გვერდზე

მართლმადიდებლობა

ლოცვებში მოვიხსენიოთ!

ღმრთივმიიცვალა საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიის ყოვლაწმიდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, ***მღვდელი თეიმურაზ ძორიძე.***

სანატრელსა შინა დაძინებასა საუკუნო განსვენება მიმადლე, უფალო, სულსა მიცვალებულისა, მონისა შენისა, ახალშესვენებულისა მღვდლისა თეიმურაზისა და მიეც მას საუკუნო ხსენება. ამინ.

დიდმოწამე და მკურნალი პანტელეიმონი

ხსენება 27 ივლისი,ახალი სტილით – 9 აგვისტო



დიდმოწამე და მკურნალი პანტელეიმონი დაიბადა ქალაქ ნიკომიდიაში დიდებული და გავლენიანი წარმართის, „მეფის თანამეინახის“, ევსტორგიოსისა და კეთილმსახური ქრისტიანი ქალის, ევბულას ოჯახში. ახალშობილს პანტელეონი - „ყოვლად ლომი“ დაარქვეს. დედა, რომელიც ჭეშმარიტი ღვთის სასოებით ზრდიდა შვილს, ადრე გარდაიცვალა, ხოლო მამამ წარმართული სარწმუნოების ეროგულება ჩაუნერგა ყრმას, „განსწავლა იგი სიბრძნესა და მწიგნობრობასა“, შემდეგ კი სამკურნალო ხელოვნებაში დასაოსტატებლად მიაბარა ეფროსინეს - მკურნალთა მთავარს, რომელიც „ჰკურნებნ მეფესა და ყოველსა ერსა პალატისა მისისასა“.

გულისხმიერებით, სიკეთითა და მშვენიერებით გამორჩეული ჭაბუკი მასწავლებელს ყოველთვის თან დაჰყავდა ხოლმე სასახლეში. აქ იმპერატორმა მაქსიმიანემ (284-305; 307-310) შენიშნა იგი, მოიხიბლა და ეფროსინეს უბრძანა, სწრაფად განესწავლა ნეტარი, რადგან მისი პირად მკურნალად დადგენა ჰქონდა გადაწყვეტილი. მოძღვართან მიმავალ პანტელეონს გზად ერთი პატარა სახლის წინ უნდა ჩავლო, რომელშიც წმიდა ხუცესნი: ერმოლაოზ, ერმიპე და ერმოკრატე (ხს. 26 ივლისს) ცხოვრობდნენ. ერმოლაოზმა სულით იგრძნო, რომ ეს ჭაბუკი ღვთის რჩეული ჯურჭელი გახდებოდა. ერთ დღეს შინ შეიპატიჟა და გაესაუბრა. როცა გაიგო, რომ იგი წარმართულ მოძღვრებებს ეუფლებოდა გულმოდგინებით, პატიოსანმა მამამ უთხრა: „შვილო ჩემო, ასკლიბიოს და ბაგრატ და გალიანოს არარანი იყვნენ, რამეთუ მსახურებდეს ამაოებასა; და ღმერთნიც, რომელთა ჰმონებდეს მეფ თქუენი, არარანი არიან“, შემდეგ კი ჭეშმარიტი სარწმუნოება უქადაგა. კეთილი თესლი კეთილ ნიადაგზე მოხვდა: პანტელეონმა ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი. ამიერიდან იგი ყოველდღე დადიოდა ერმოლაოზ ხუცესთან და სახარების სწავლებას ეწაფებოდა.

ერთ დღეს შინ მიმავალი პანტელეონი წააწყდა მკვდარ ბავშვს, რომელიც ასიპტს დაეგესლა და თვითონაც იქვე გაწოლილიყო. თავდაპირველად ჭაბუკი შეძრწუნდა, „განცუბრდა და მცირედ განდგა კიდე“, შემდეგ კი გადაწყვიტა, დარწმუნებულიყო ერმოლაოზის სიტყვების ჭეშმარიტებაში, თვალები ზეცად აღაპყრო და წარმოთქვა: „ჰო , უფალო იესუ ქრისტე, უკუეთუ სათნო-გიჩს, რა თა ვიყო მსახურ შენდა და ღირს წოდებისა შენისა, აღდეგინ აწ უკუე ყრმა ესე სახელითა შენითა!“ ამ სიტყვებზე ყრმა, თითქოს ძილისგან გამოფხიზლდაო, ფეხზე წამოდგა, გველი კი განსკდა და მოკვდა. „მაშინ პანტელეონ შეიწყნარა მადლი სარწმუნოებისა “, მადლობა შესწირა ღმერთს, მყისვე გაეშურა ერმოლაოზისკენ, მის წინაშე მუხლებზე დაეცა და სთხოვა, მოენათლა. წმიდა ხუცესმაც ნათელსცა ნეტარს.

ამის შემდეგ პანტელეონმა მადლმოსილი სიტყვითა და მახვილგონივრული შეკითხვებით წარმართული ღვთაებების რწმენა შეურყია მშობელს. მას შემდეგ კი, რაც მან მაცხოვრის სახელის მოხმობით თვალი აუხილა ბრმას, რომელსაც ქალაქის ყველაზე დახელოვნებულმა ექიმებმაც კი ვერაფერი უშველეს, ევსტორგიოსმა საკუთარი ხელით შეშესრა ცრუღმერთების ქანდაკები, აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი და მოინათლა.

მამის სიკვდილის შემდეგ წმიდანმა მონები გაათავისუფლა, მემკვიდრეობით მიღებული ქონება კი გლახაკებს დაუნაწილა. იგი დადიოდა საპყრობილეებში და ნუგეშს სცემდა პატიმრებს, სნეულებს ჰმსახურებდა „ხელითა თვისითა“, ქრისტეს სახელით კურნავდა, თან ნივთიერადაც შეეწეოდა. ქალაქის მკვიდრნი სხვა ექიმებს ტოვებდნენ და პანტელეონისკენ ისწრაფოდნენ. ისიც, ღვთის მადლით, მრავალ სასწაულს აღასრულებდა. „შეიშურეს მკურნალთა სხუათა საქმე იგი მისი“ და მიზეზს ეძიებდნენ ნეტარის დასაღუპავად. ბოლოს, დაბოღმილებმა, მაქსიმიანეს აუწყეს, შენი რჩეული „ჰკურნებს... მათ, რომელნი ღმერთთა აგინებენ და მისცემს საზრდელს და განდგომილ არს იგი მსახურებისაგან ღმერთთა სა“, და თუ დროზე არ წარწყმედ მას, კიდევ ბევრს გარდააქცევს მამაპაპათა სჯულიდანო. მეფემ მოაყვანინა პანტელეონი და ბრალდების გაქარწყლება მოსთხოვა, წმიდანმა კი ახოვნად აღიარა თავისი სარწმუნოება და თვითმჰყრობელის თვალწინ ქრისტეს სახელის მოხმობით განრღვეული განკურნა. განრისხებულმა მაქსიმიანემ უფლის რჩეულს კერპებისთვის მსხვერპლის შეწირვა უბრძანა, მაგრამ ვერც მუქარამ, ვერც ლიქნამ ვერ მოდრიკა ნეტარი. მაშინ იგი საშინლად აწამეს: ხეზე დაჰკიდეს, რკინის სამთითებით „ხუეტეს“ და „დაბძარეს“ ხორცი მისი, ანთებული ლამპრებით დაუდაღეს სხეული, ადუღებულ ტყვიაში ჩააგდეს, ყელზე ლოდგამობმული ზღვაში მოისროლეს, მხეცებს მიუგდეს დასაგლეჯად, დიდი ურმის თვალზე დააკრეს და მაღლიდან დააქანეს, რომ ნაკუწ-ნაკუწ დაჭრილიყო, მაგრამ უფლის გამოცხადებით გამხნევებული მოწამე უფლისავე ძალით სრულიად უვნებელი გამოვიდა სატანჯველებიდან. ამის შემდეგ სამსჯავროს წინაშე წარადგინეს წმიდანის მოძღვარი - ერმოლაოზი, მასთან ერთად ხუცესნი: ერმიპე და ერმოკრატე და ჭეშმარიტების აღსარებისთვის სიკვდილით დასაჯეს (იხ. 26 ივლისის საკითხავი), პანტელეონს კი უთხრეს: „აჰა, ეგერა, მოძღუართა შენთა აღიარეს ღმერთთა უფლება “, უზორეს მათ და ახლა სასახლეში პატივით იმყოფებიანო. ქრისტეს მარტვილმა მიუგო: კარგად ვუწყი, რომ „წმიდანი იგი ზეცას არიან მკუიდრ ქალაქსა ქრისტესსა“.

გონდაკარგულმა მაქსიმიანემ კვლავ „ტანჯა იგი სატანჯველითა მრავლითა“, შემდეგ კი მსახურებს მისი მოკვდინება და ცეცხლში დაწვა უბრძანა. ჯალათებმა ქალაქიდან გაიყვანეს ნეტარი, მიიყვანეს „ადგილსა მას, სადა-იგი სათნო-უჩნდა უფალსა აღსრულება წმიდისა მის“ და ზეთისხილის ხეებქვეშ დააყენეს. ერთმა მხედარმა მახვილი ჩასცა უფლის სათნომყოფელს, მაგრამ ბასრი იარაღი ცვილივით გაიღუნა, წმიდანს კი „არარა ევნო“. სასწაულით შეძრულმა მეომრებმა ირწმუნეს ქრისტე და მარტვილს სთხოვეს, უფლისგან ცოდვათა მიტევება გამოეთხოვა მათთვის. ლოცვის პასუხად ზეციურმა ხმამ სასუფეველისკენ მოუწოდა ნეტარს და ამცნო, „ამიერითგან არღარა გეწოდოს შენ სახელი პანტელეონ, არამედ პანტელეიმონ იყოს სახელი შენი, რომელ არს: ყოველთა მოწყალეთა , რამეთუ იყავ ყოველთა კაცთა მოწყალე, და შენ იყავ ნავთ-საყუდელ მყუდრო, რომელნი მოივლტოდიან შენდა, და ჭირვეულთა შემწე და განწირულთა ხელის ამპყრობელ და ბოროტთა სულთა განმდევნელ“.

ჯალათებმა უარი განაცხადეს სასჯელის აღსრულებაზე, ქრისტეს მარტვილმა კი მიუგო: „უკუეთუ თქუენ არა ჰყოთ ესე, არა გაქუს ჩემ თანა ნაწილი“. მაშინ მხედრებმა კრძალვით ამბორს-უყვეს ნეტარს, „და ესრეთ მოჰკუეთეს თავი მისი“. წმიდანის ცხედარი თოვლივით განსპეტაკდა, ჭრილობებიდან სისხლის ნაცვლად რძე გადმოდინდა, ზეთისხილის ხეები კი ნაყოფებით დაიხუნძლა. ამ სასწაულის მრავალმა მხილველმა აღიდა ჭეშმარიტი ღმერთი. ქრისტიანებმა იგი პატივით მიაბარეს მიწას (+305). უფლის რჩეულის სიკვდილით დასჯას ესწრებოდნენ მისი მსახურები: ლავრენტი, ვასო და პროვიანე. სწორედ მათ შემოგვინახეს ცნობები პანტელეიმონის ცხოვრებისა და მოწამეობრივი ღვაწლის შესახებ.

დიდმოწამის უხრწნელი ნაწილები მთელ ქრისტიანულ სამყაროშია მიმოფანტული. მისი პატიოსანი თავი ათონზე, წმიდა პანტელეიმონის სახელობის რუსულ მონასტერში ინახება.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი III, თბილისი, 2001 წ

11 აგვისტო – წმიდა ნიკოლოზის დაბადების დღე



წმიდა ნიკოლოზის ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. მართლმადიდებლები წმიდა მღვდელთმთავარს შეწევნისათვის ყოველგვარი გასაჭირის ჟამს მიმართავენ და ისიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე მათ. წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველად მას შემდეგ ითვლება, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდანს ქართული ეკლესია შეავედრა. წმიდანი დაუდალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

ცხოვრება წმინდა ნიკოლოზისა ღვთაებრივი ნათლით იყო გაბრწყინებული. მის ლოცვასა და შემწეობას მრავალი ადამიანი უხსნია ხორციელი თუ სულიერი სიკვდილისაგან. მრავალი გადაურჩენია ზღვაში ჩანთქმისგან, მრავალიც განუკურნავს: ბრმათათვის თვალი აუხელია, კოჭლთათვის საღი ფეხი მიუცია, ყრუთათვის – სმენა, უტყვთათვის – მეტყველების მადლი. სიღატაკეში მყოფთათვის – ცხოვრების სახსარი, დამშეულთათვის – სასმელ–საჭმელი.

ქართველ ხალხში წმიდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. საქართველოში მის სახელზე აგებული მრავალი ტაძარი არსებობს.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. როცა წმიდანი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, მათი გამზითვება და დაქორწინება არ შეეძლო, – განუზრახავს მათი საროსკიპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ხვედრისაგან. ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმიდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისგან. სწორედ ამ ეპიზოდმა წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე, თანდათანობით, იქცა იგი დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის შობა-ახალწლის სიმბოლოდ – სანტა კლაუსად. შობა ღამეს, წმიდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში, საჩუქრების დასატოვებლად საგანგებოდ წინდებს გამოფენენ ხოლმე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობა ღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შემოადწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს. თუმცა, თანამედროვე ბავშვის ცნობიერებაში ამჟამინდელი სანტა კლაუსი არანაირად არ უკავშირდება წმიდა ნიკოლოზს.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრება

წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი მცირე აზიაში, ლუკიის მხარის ქალაქ პათარაში, 257 წლის 11 აგვისტოს მდიდარ და ღვთისმოშიშ ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები – თეოფანე და ნონა დიდი ხნის მანძილზე ევედრებოდნენ ღმერთს, ებოძებინა მათთვის შვილი. მათ აღთქმა დადეს, თუ მემკვიდრე შეეძინებოდათ, მას უფალს მიუძღვნიდნენ და ღვთისმსახურად აღზრდიდნენ. ღმერთმა მშობლების ვედრება ისმინა და მათ ვაჟი უბოძა, რომელსაც სახელად ნიკოლოზი უწოდეს.

წმიდა ნიკოლოზი დაიბადა თუ არა, მისი დედა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სენი ტანჯავდა, მსწრაფლ განიკურნა. ნათლობისას კი ჩვილი ნიკოლოზი ემბაზში დამოუკიდებლად 3 საათის განმავლობაში ფეხზე იდგა. დედის რძესაც ოთხშაბათობითა და პარასკევობით მხოლოდ საღამო ხანს, მწუხრის ლოცვის დასრულების შემდეგ იღებდა.

წმ. ნიკოლოზმა ყრმობიდანვე ღრმად შეისწავლა საღმრთო წერილი. მთელ დღეს ტაძარში ატარებდა, ღამით კი ლოცულობდა და წმიდა წიგნებს კითხულობდა. პათარის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა იგი ჯერ მედავითნედ დანიშნა, შემდეგ კი მღვდლად აკურთხა. სულიწმინდით აღვსილმა მღვდელმთავარმა ამ დღეს ასე მიმართა ხალხს: “ძმანო, მე ვხედავ ახალ მზეს, ამომავალს ქვეყნად, რომელი მონანულთა ნუგეშს მოჰფენს; კურთხეულ არს სამწყსო, რომლის მოძღვარიც იგი იქნება, რამეთუ ცოდვილთა სულებს კეთილად უწინამძღვრებს და ჭირთა შინა შემწედ მოევლინება.”

წმიდა ნიკოლოზი პრესვიტერი იყო, როცა ბიძამ ეპარქიის გამგებლობა ჩააბარა და თვითონ წავიდა ადგილების მოსალოცად პალესტინაში. წმიდანი დიდი სიყვარულით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება დარიბებს დაურიგა. ცდილობდა, არც ერთი ადამიანის გაჭირვება და უბედურება არ გამორჩენოდა მხედველობიდან.

პათარის ეპისკოპოსის დაბრუნების შემდეგ წმ. ნიკოლოზი პალესტინაში გაემგზავრა. გემზე ყოფნისას მან სასწაული ორჯერ აღასრულა: ჯერ გამძვინვარებული სტიქია ჩააწყნარა ლოცვით, შემდეგ კი ანძიდან ჩამოვარდნილი მეზღვაური ფეხზე უვნებლად წამოაყენა.

იერუსალიმში ჩასულმა წმიდა ნიკოლოზმა ლოცვით მოვლო წმიდა ადგილები. შორიდან მოსული დიდი მლოცველის წინაშე სიონის მთაზე ეკლესიის დახშული კარები დამით თავისით გაიღო. მას შემდეგ, რაც იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა წმიდა ადგილი მოილოცა, წმ. ნიკოლოზი უდაბნოში აპირებდა წასვლას, რათა იქ განდეგილის ცხოვრებით ეცხოვრა, მაგრამ ღვთაებრივმა ხმამ მას სამშობლოში დაბრუნება ურჩია.

მირონ–ლუკიაში დაბრუნებული წმიდა ნიკოლოზი კვლავ განმარტოებისაკენ ისრაფვოდა, მაგრამ უფლის ნებით მისი ცხოვრება სხვა გზით წარიმართა. მას თვითონ უფალი გამოეცხადა და ძვირფასი თვლებით შემკული სახარება უბოძა, ხოლო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ომოფორი უწყალობა. სულ მალე ამ ჩვენებიდან წმიდა ნიკოლოზი მირონ–ლუკიის მთავარეპისკოპოსად აირჩიეს. უსჯულო დიოკლეტიანეს მეფობის დროს, ქრისტიანების გააფრთებული დევნისას, მღვდელმთავარი ნიკოლოზიც დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს, სადაც იგი ქრისტიანებს ჭეშმარიტი რწმენით განამტკიცებდა და ეხმარებოდა, მხნედ გადაეტანათ მიყენებული ტანჯვა–წამება.

მოციქულთასწორის კონსტანტინე დიდის გამეფების შემდეგ მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი თავის სამწყსოს დაუბრუნდა. 325 წელს მან მონაწილეობა მიიღო ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაში, რომელმაც სარწმუნოების სიმბოლო მიიღო. სხვა წმიდა მამებთან ერთად იგი შეურიგებლად ამხელდა იმ ხანებში ფართოდ გავრცელებული ალექსანდრიელი ხუცესის, მწვალებელი არიოზის ცრუ მოძღვრებას. ერეტიკოსის უტიფრობამ თვით სიმშვიდის ხატად ცნობილ წმ. ნიკოლოზსაც დააკარგვინა მოთმინება. ცრუ მოძღვარს, რომელიც თავისას ჯიუტად ამტკიცებდა, მან კვერთხი ჩაარტყა, რისთვისაც მღვდელმთავრის პატივი აეყარა და ომოფორი ჩამოერთვა. მაგრამ კრების მონაწილე რამდენიმე მამას ზეგარდამო ჩვენებით ეუწყა, რომ წმ. ნიკოლოზი მღვდელმთავრად თვით უფალმა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხეს, რის შედეგადაც მას უწინდელი დირსება აღუდგინეს.

წმიდა ნიკოლოზი ღრმად მოხუცებული მიებარა უფალს. ადგილობრივ საკათედრო ტაძარში მისი წმიდა ნაწილები დიდხანს უხრწნელად იყო დაცული. მათგან წმიდა მირონი მოედინებოდა, რომლითაც მრავალი სასწაულებრივად იკურნებოდა. 1087 წელს წმიდა ნაწილები იტალიის ქალაქ ბარის მცხოვრებლებმა თავიანთ ქალაქში გადაასვენეს, რადგან მირონ–ლუკიაში მას საფრთხე დაემუქრა მაჰმადიანების მხრიდან.

წმიდა მღვდელმთავარ ნიკოლოზის ტროპარი

“კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო მღვდელთმთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.”

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის 29 ივლისს გაიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

საქათველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ (მომხსენებელი ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი*** **ბექა ფციძრიშვილი;** ***თანამომხსენებელი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის,მშენებლობის, არქიტექტურის კომისიის თავმჯდომარე*** **ლევან როსტიაშვილი**)

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024-2025 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კვლავ განხორციელდება ქალაქისა და სოფლების მთელი რიგი კეთილმოწყობა, სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც მოიცავს ქუჩების მოასფალტებას, სანიაღვრე არხების, სოფლებში ადმინისტრაციული შენობების, ქალაქში საცხოვრებელი კორპუსების, სახურავების, გარე ფასადის, სადარბაზოების გალამაზებას, სპორტული მოედნების რეკონსტრუქციას, ***კერძოდ:***

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) (ლარი)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	მ.შ თანადაფინანსება (ლარი)	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები (წელი)
1	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურში სკვერის მოწყობა	354,519.00	232,807.00	121,712.00	2024 - 2025
2	საგარეჯო, სათავეს ქუჩაზე სანიაღრე (განივი)	36,111.18	34,305.62	1,805.56	2024 - 2025
3	სოფ. პატარძეულში ხიდის მოწყობა	133,954.04	127,256.34	6,697.70	2024 - 2025
4	საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დავით გარეჯის ქუჩის მოასფალტება	239,304.13	227,338.92	11,965.21	2024 - 2025
5	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მზისგულის გზის მოასფალტება	416,270.04	395,456.54	20,813.50	2024 - 2025
6	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავში ორი უბნის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება	859,342.30	816,375.19	42,967.11	2024 - 2025
7	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბაანის გზის მოასფალტება	2,053,637.21	1,950,955.35	102,681.86	2024 - 2025
8	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის გზის მოასფალტება	1,990,262.06	1,890,748.96	99,513.10	2024 - 2025
9	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში ცენტრალური გზის მოასფალტება	2,422,355.86	2,301,238.07	121,117.79	2024 - 2025
10	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმაში ეკლესიის მიმდებარედ გზის მოასფალტება	679,535.71	645,558.92	33,976.79	2024 - 2025
11	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, ცენტრალური მონაკვეთის გზის მოასფალტება	1,259,550.60	1,196,573.07	62,977.53	2024 - 2025
12	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში N11 ქუჩის გზის მოასფალტება	883,210.22	839,049.71	44,160.51	2024 - 2025
13	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში N12 ქუჩის გზის მოასფალტება	300,562.78	285,534.64	15,028.14	2024 - 2025
14	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში N16 ქუჩის გზის მოასფალტება	559,019.26	531,068.30	27,950.96	2024 - 2025
15	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში N27 ქუჩის გზის მოასფალტება	166,567.42	158,239.05	8,328.37	2024 - 2025
16	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში N32 ქუჩის გზის მოასფალტება	407,173.90	386,815.21	20,358.70	2024 - 2025

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დასასრული

ზაფხული... არდადეგები... მოსწავლეები...

მერე რა, რომ ზაფხულია

და საუცხოო ინფორმაციას ვეძებ... სულ ახლა, რამდენიმე დღის წინ ღონისძიება „ლეგენდიდან წიგნამდე“ გვქონდა. ამ ღონისძიებაზე საგარეჯოზე იმდენად საუცხოო ლეგენდებს გავეცანი, რომ ვერც კი ვიჯერებდი, ეს სიმართლე თუ იყო.

საბიბლიოთეკო ღონისძიებებმა ჩემში ძალიან ბევრი უნარები აღმომაჩენინა. გავიცანი ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებიც საქმიანი ბიბლიოთეკარები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ადამიანები.

– ვერიკო კერატიშვილს როგორ დამიხასიათებდით ყველაზე მეტად რომელი ღონისძიება მოგეწონათ მის მიერ ჩატარებული?

– ვერიკო კერატიშვილი ჩემი უძვირფასესი ადამიანია.მგონია,რომ მთელი ცხოვრებაა ვიცნობ. უზომოდ შრომისმოყვარე და თბილი ადამიანია, აი, ისეთი, შენს გულის ტკივილს თავისუფლად რომ გაუზიარებ და დარწმუნებულიიქნები, არავის რომ არ ეტყვის. თავის გულში იქნება ის სამუდამოდ. ისე ეტკინება,როგორც შენ ქ-ნ ვერიკო ძალიან კომუნიკაბელურია. არ არსებობს ადამიანი, რომელიც მასთან საერთო ენას ვერ გამონახავს. უბედნიერესი ვარ, რომ ეს ადამიანი გავიცანი...

– რომელი სკოლის მოსწავლეებთან დაგამეგობრათ საბავშვო ბიბლიოთეკამ?

– საბიბლიოთეკო ღონისძიებებით დავუმეგობრდი ჯერჯერობით ჩვენი ქალაქის პირველი, მეორე და მესამე, საჯარო სკოლების თანაწამყვანებს და მონაწილეებს.

–რა მიზნები გაქვთ სამომავლოდ, გააგრძელებთ საბავშვო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობას?!

– აუცილებლად გავაგრძელებთ თანამშრომლობას საბავშვო ბიბლიოთეკასთან

– ვინ იღებდა ამ ღონისძიებაში მონაწილეობას და დაასახელეთ თემები, რომლებიც იყო წარმოდგენილი?

– მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ საგარეჯოდან პირველი საჯარო სკოლიდან ***ანასტასია სამყურაშვილი, ანამარია ბიბილური, ეთუნა ხებრელაშვილი*** (ამჟამად სტუდენტი) საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლელი ***მარიამ ხითარიშვილი...***

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა ლეგენდები, როგორიცაა ლეგენდა მზეჭაბუკზე, ლეგენდა ნადარბაზევზე, ცივზე, ერეკლე მეფე თვალ-საგარეჯოზე და ასევე ვახსენეთ ლეგენდა ელიას მთასა და ბებერ კლდეზე და მინდა გულწრფელად გითხრათ,რომ რომ ამ დიდი ოჯახის წევრი ვარ!

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გაგრძელება

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) (ლარი)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	მ.შ თანადაფინანსება (ლარი)	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები (წელი)
17	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორის წითელი ქუჩა გზის მოასფალტება	991,488.11	941,913.70	49,574.41	2024 - 2025
18	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის გზის მოასფალტება	829,763.27	788,275.11	41,488.16	2024 - 2025
19	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქ. საგარეჯოში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ვ.ჩერქეზიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	166,238.80	157,926.86	8,311.94	2024 - 2025
20	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქ. საგარეჯოში, სტიქიის შედეგად დაზიანებული 21-ე ქუჩის რეაბილიტაცია	140,098.13	133,093.22	7,004.91	2024 - 2025
21	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქ.საგარეჯოში, სტიქიის შედეგად მდინარე თვალთხევის მიმდებარედ დაზიანებული გზის საყრდენი ჯებირის რეაბილიტაცია	113,360.00	107,692.00	5,668.00	2024 - 2025
22	ქალაქ საგარეჯოში ცხვედაძის ქუჩაზე არსებული არხის რეაბილიტაცია	447,394.86	425,025.12	22,369.74	2024 - 2025
23	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქ. საგარეჯოში, სტიქიის შედეგად ე.წ "წყლის სათავესთან" მისასვლელ გზაზე დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაცია	25,367.52	24,099.14	1,268.38	2024 - 2025
24	საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ბიბლიოთეკის მოწყობა	972,983.90	924,334.71	48,649.20	2024 - 2025
25	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	457,092.33	434,237.71	22,854.62	2024 - 2025
26	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მზისგულის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	466,164.33	442,856.11	23,308.22	2024 - 2025
27	თამარ მეფის ქუჩის N24 კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია	192,791.00	183,151.45	9,639.55	2024 - 2025
28	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის სარემონტო სამუშაოები	142,266.00	135,152.70	7,113.30	2024 - 2025
29	ქ. საგარეჯოს კულტურის სახლის სარეპეტიციო დარბაზების რეაბილიტაცია	347,792.00	330,402.40	17,389.60	2024 - 2025
30	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში სკვერის მოწყობა	172,303.00	163,687.85	8,615.15	2024 - 2025
31	ქალაქ საგარეჯოში აღმაშნებლის N10-ში საცხოვრებელი კორპუსის და ფასადის და სადარბაზოს რეაბილიტაცია	157,547.00	149,669.65	7,877.35	2024 - 2025
32	ქ. საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქუჩა N37 სპორტსკოლის რეაბილიტაცია	111,157.00	105,599.15	5,557.85	2024 - 2025
33	ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილის ქ.N10 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	144,362.00	137,143.90	7,218.10	2024 - 2025
34	ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილის ქ.N12 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია	511,510.00	485,934.50	25,575.50	2024 - 2025
35	ქ. საგარეჯოში თამარ მეფის N10 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავისა და სადარბაზოს რეაბილიტაცია	200,765.00	190,726.75	10,038.25	2024 - 2025
36	ქ. საგარეჯოში თამარ მეფის N20 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავისა და სადარბაზოს რეაბილიტაცია	212,041.00	201,438.95	10,602.05	2024 - 2025
37	ქ. საგარეჯოში თამარ მეფის N22 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავისა და სადარბაზოს რეაბილიტაცია	212,907.00	202,261.65	10,645.35	2024 - 2025

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

დასასრული

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

№	პროექტის დასახელება	ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) (ლარი)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	მ.შ თანადაფინანსება (ლარი)	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები (წელი)
38	ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილის ქუჩა N12ა საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია (ხუთსართულიანი ფლიგელი)	560,201.00	532,190.95	28,010.05	2024 - 2025
39	ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილის ქუჩა N12ა საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია (ერთსართულიანი ფლიგელი)	63,627.00	60,445.65	3,181.35	2024 - 2025
40	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში ტურისტული ცენტრის მშენებლობა	337,676.00	320,792.20	16,883.80	2024 - 2025
41	ქ. საგარეჯოში ჯაფარიძის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია	283,909.00	269,713.55	14,195.45	2024 - 2025
42	ქ საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილის N13 მ.ტ. სკვერის მოწყობა	238,851.00	226,908.45	11,942.55	2024 - 2025
43	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმაში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია	467,465.00	444,091.75	23,373.25	2024 - 2025
44	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამაში ქართული ენის შემსწავლელი ცენტრის მშენებლობა	502,049.00	476,946.55	25,102.45	2024 - 2025
45	ქ. საგარეჯოში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სკოლის შენობის კიბის უჯრედის, სახურავისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	544,419.00	517,198.05	27,220.95	2024 - 2025
46	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმის ადმინისტრაციული ცენტრის შენობის ფასადისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია	80,013.00	76,012.35	4,000.65	2024 - 2025
47	ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩის N15 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია	246,607.00	234,276.65	12,330.35	2024 - 2025
48	ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩის N17 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია	263,821.00	250,629.95	13,191.05	2024 - 2025
49	ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩის N19 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია	167,228.00	158,866.60	8,361.40	2024 - 2025
50	ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩის N21 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია	172,777.00	164,138.15	8,638.85	2024 - 2025
51	ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩის N23 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია	161,081.00	153,026.95	8,054.05	2024 - 2025
52	ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩის N25 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია	170,667.00	162,133.65	8,533.35	2024 - 2025
53	ქ. საგარეჯოში ჯაფარიძის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია	235,179.00	223,420.05	11,758.95	2024 - 2025
54	ქალაქ საგარეჯოში კულტურის სახლის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია	309,208.00	293,747.60	15,460.40	2024 - 2025
55	ქ. საგარეჯოში რუსთაველის ქუჩის N245 საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება - გაძლიერება, ფასადის სახურავისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია	219,822.00	208,830.90	10,991.10	2024 - 2025
56	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია	467,865.00	444,471.75	23,393.25	2024 - 2025

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ, მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2024-2025 წლებში განსახორციელებელ პროექტებს.

ინფრასტრუქტურა-2024

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

დასასრული





საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

ამჯერად, ნინოწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში, შიდა საუბნო გზების მოასფალტების წინა, მიწის ვაკისის მოსამზადებელი და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

შინდისის გმირები

2008 წლის აგვისტოს ომიდან 16 წელი გავიდა

შინდისის ბრძოლა ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმისა და გამორჩეული სიმამაცის მპიზოდია

შინდისის გმირების უკანასკნელი ფოტო

გორის რაიონის სოფელ შინდისს 7 წელია თავისი გმირები ჰყავს, მათ "შინდისის გმირებს" ეძახიან. აქ 2008 წლის 11 აგვისტოს სენაკის მეორე ბრიგადის ჩვიდმეტი ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა და ქვეყანას თავგანწირვის საოცარი მაგალითი აჩვენა.

"ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს, ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-სალამათი ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გაქცევა, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი თანამებრძოლის თავს გულში იხუტებს, ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს და სადღაც რეკავს.

"მიპასუხე, მამაო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი", - ისმის ტკივილით ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, "ლიმონკა" მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება.

მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთო და... ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის "მამაო ჩვენო". ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა.

აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლული, კიდევ ერთი ღირსეული ვაჟკაცი რომან ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. "არა", - კბილებში გამოცრა თურმე გმირმა.

"ალეკო მობილური ტელეფონით მოძღვართან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენდობა ეთხოვა. ასე გალობითა და ლოცვით გადავიდა იმიერ საქართველოში, ჩვენ კი ვაჟკაცობის საოცარი მაგალითი დაგვიტოვა", - გვიამბობენ თვალცრემლიანი შინდისელები.

"ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, გულის კაცები და ვაჟკაცები, ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს", -"ამ ლექსის ავტორი 11 აგვისტოს დაღუპულთაგან ერთ-ერთია.

საინტერესოა, შეიძლებოდა თუ არა შინდისის ტრაგედიის თავიდან აცილება?!

21 წლის იყო **მიხეილ დვალიშვილი** ლექსებს წერდა და როგორც ხშირად ამბობდა, საქართველო სიგიჟემდე უყვარდა. იმ დღეს დარწმუნდა, რომ ***ალექსანდრე ონიანს, რუსლან წულაძეს, ზვიად კაცაძეს, ილია გაბუნიას, რომან ზოიძეს, კახა კოშაძეს, ემზარ წილოსანს, ილია შეყლაშვილს, თემურ ბერიძეს, ფელიქს კაკაურიძესა და ვეფხვია ჯიშკარიანს*** მასთან ყველაზე მეტად სწორედ ეს "სიგიჟე" აერთიანებდა.

ერთი წამით არ უფიქრიათ უკან დახევა, როდესაც მრავალრიცხოვან მტერს გადაეყარნენ. არ შემდრკალან, მიუხედავად იმისა, რომ ***ირაკლი ჯანელიძე, ნიკოლოზ ფორჩხაძე, მარლენ ბარამია, ლევან მელქაძე და შმაგი კუპატაძე*** პირველივე დარტყმის დროს დაკარგეს.

5 ბიჭი კოლონის პირველივე მანქანაში ჩაკლა მტერმა, დანარჩენები თითქმის საათი და 20 წუთი განუწყვეტლივ უტევდნენ ოკუპანტებს. მტერს ეგონა, ბატალიონი თუ არა, უთუოდ ასეული ებრძოდა. ვინ არიან, ადამიანები თუ ქაჯები, ვერ გაგვიგიაო, ღმუოდნენ თურმე რუსები, სანამ დაფლეთილი თორმეტი ვაჟკაცის ცხედარი არ ნახეს.

მიხეილ დვალიშვილმა თითქოს იწინასწარმეტყველა ეს ტრაგედია. 10 აგვისტოს ბრძოლის ველზე წარმოთქვა: "ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ".

ცეცხლის შეწყვეტა რომ უბრძანეს, იმ დღეს ყველა მათგანს დაურეკავს სახლში, სადამოს შინ ვიქნებითო. ამის შემდეგ 9 დღე და ღამე ეყარა გვამები ღია ცის ქვეშ. მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი მათი გადმოსვენება.

შინდისელების გადმოცემით, შეტაკებამდე 2 საათით ადრე რუსული ტანკები ქართული დროშებით გამოჩენილან სოფელში და ძველი რკინიგზის სადგურთან ჩასაფრებულან. სავარაუდოდ, იცოდნენ, რომ იმ გზაზე ქართველებს უნდა გაევლოთ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებასაც არაფრად აგდებდნენ. სენაკის ბატალიონის მიახლოებისთანავე აუფეთქებიათ პირველი და ბოლო მანქანა და ამით გასასვლელები ჩაკეტეს. ბევრმა უშველა თავს ბატალიონიდან, მომავალი შინდისის გმირები მტერს შეაკვდნენ.



შეეძლოთ გარიდებოდნენ, გასაქცევი გზა ჰქონდათ, მაგრამ თვითონვე მოიჭრეს. რკინიგზის მეორე მხარეს გადავიდნენ და ხელჩართული ომი გაუმართეს მტერს. როცა ტყვია-წამალი გამოელიათ, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ონიანმა თავის აფეთქება. მისი დაღუპვის შემდეგ რუსებმა დაღუპულებსა და დაჭრილებთან მიახლოება გაბედეს და საკონტროლო ჯერი გადააატარეს.

არადა, მაშინ ყველა არ ყოფილა მკვდარი. შინდისთან ბრძოლას 20 ჯარისკაციდან მხოლოდ სამი გადაურჩა, ისიც შინდისელების გმირობით. სოფლელებს ბრძოლის ველიდან მოუპარავთ საცერივით დაცხრილული ბიჭები. ერთ-ერთს, ოთარ კალმახელიძეს, შინდისელი **ბადრი ხუციშვილი,** მეტსახელად ახმეტა, რამდენიმე დღე თავის სახლში მალავდა, შემდეგ კი მედპერსონალს ჩააბარა

12 აგვისტო –დიდგორობა

დიდგორის ბრძოლა

დიდგორის ბრძოლა ან ძლევაი საკვირველი (1121 წლის 12 აგვისტო) — ქართველთა ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან). საქართველოს ისტორიაში დიდგორის ბრძოლა უდიდეს გამარჯვებათა რიცხვს მიეკუთვნება.

სხვადასხვა წყაროში დაცულია განსხვავებული ცნობები ლაშქრების სიდიდის შესახებ, თუმცა როგორც ქართულ-სომხურ-ლათინური, ასევე თვით არაბული წყაროების მიხედვით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი ბევრად აღემატებოდა ქართულს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა მტრის ლაშქარი „ქვიშა ზღვისა"-ს შეადარა.

დიდგორის ველზე ილღაზის სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის დამარცხების, მისი დევნისა და საბოლოოდ განადგურების შემდეგ, დავით აღმაშენებელს გზა გაეხსნა თბილისისაკენ. მოგვიანებით, 1122 წელს — თბილისის, ხოლო 1123 წელს დმანისის აღება დიდგორის ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება და დასაბამი მისცა ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში, ამასთანავე, საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი.

დავითის სიტყვა დიდგორის ბრძოლის წინ

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღმრთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არათუ ეშმაკის ურიცხ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის-კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით..."

(გოტიე – ლათინური ქრონიკლები – „ანტიოქიის ომები")

1992-93 აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 16 ადამიანის ნეშტი ოჯახებს გადაეცა

საქართველო (ICRC) - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) დახმარებით განხორციელდა 1992-93წწ აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 16 ადამიანის ნეშტის მოძიება, ამოცნობა და ოჯახებისთვის გადაცემა.

ეს შესაძლებელი გახდა 1992-93 წწ შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში დაკარგული ადამიანების მოძიებაზე მომუშავე საკოორდინაციო მექანიზმის ჰუმანიტარული მანდატის ფარგლებში, რომელიც 2010 წლიდან ფუნქციონირებს ICRC-ის მხარდაჭერით და აფხაზი და ქართველი მონაწილეების ჩართულობით.

ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროში 5 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე ოჯახებს მიეცათ შესაძლებლობა, დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ ინფორმაცია თავიანთი ახლობლების მოძიებისა და ამოცნობის პროცესთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ICRC-ის წარმომადგენლები.

ნეშტები სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს, სადაც სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ ვეტერანების, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

„უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახების წევრებს აქვთ უფლება იცოდნენ თავიანთი ახლობლების ხვედრისა და ადგილსამყოფელის შესახებ" - განაცხადა ანნ მონტავონმა, Iჩდჩ-ის საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა. „საკოორდინაციო მექანიზმთან ჩვენი ერთობლივი მუშაობა მიზნად ისახავს ამ ოჯახების განსაცდელის შემსუბუქებას არსებულ შეკითხვებზე მათთვის პასუხების მიწოდების გზით. დღეს, 16 ოჯახს, ვისაც ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში გაურკვევლობაში უწევდა ცხოვრება, მიეცა შესაძლებლობა, პატივი მიეგოთ თავიანთი გარდაცვლილი ახლობლებისთვის. ჩვენ ვუსამძიმრებთ ამ ოჯახების წევრებს".

2013 წლიდან, სხვადასხვა ლოკაციაზე მოძიებულია 543 ადამიანის ნეშტი, აქედან 301 ამოცნობილია და გადაეცა ოჯახებს. 1992-93 წლების შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება სულ 1849 ადამიანი, მათ შორის სამხედრო და სამოქალაქო პირები.

საკოორდინაციო მექანიზმი, ICRC-ის მხარდაჭერით, განაგრძობს მუშაობას, რომ გაარკვიოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ადამიანების ხვედრი.

საგარეჯომ ოლიმპიურ ჩემპიონს უმასპინძლა

ლაშა ტალახაძე „გარეჯი-1960“-ის მატჩს დაესწრო

ონი **ლაშა ტალახაძე**, რომელმაც გულშემატკივარს მორიგი ოლიმპიური მედალი წარუდგინა.

მატჩის საგულშემატკივროდ და სახელოვანი ქართველი სპორტსმენის დასახვედრად ადგილობრივ გულშემატკივრებთან ერთად იმყოფებოდნენ - ***კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული*** **გიორგი ალადაშვილი,** ***პარლამენტის წევრი*** **დავით სონღულაშვილი,** ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი,*** **ავთანდილ გულიკაშვილი** *და* ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ალექსი გილაშვილი.**

17 აგვისტოს საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე ეროვნული ლიგა 2-ის მორიგი კალენდარული მატჩი გაიმართა, სადაც გუნდი “გარეჯი” თბილისის “სპაერს” მასპინძლობდა.

მატჩს საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე**, რომელმაც გულშემატკივარს მორიგი ოლიმპიური მედალი წარუდგინა.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოლიმპიურ ჩემპიონს გამოჩენილი ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადეს, ღირსეული გამარჯვება მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

ფეხბურთი

სეზონი განახლდა

„გარეჯმა“ მოგებებით დაიწყო

საქართველოს ჩემპიონატში, მოგეხსენებათ ზაფხულის არდადეგები იყო გამოცხადებული. სეზონი კი დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებით გაიხსნა. გარეჯელთა მეტოქე უმაღლესი ლიგის ბინადარი „სამტრედია“ იყო. გარდა იმისა, რომ ეს მერვედფინალური მატჩი იყო და გამარჯვებული მეოთხედფინალში გადიოდა, გარეჯელთათვის ამ მატჩს უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა. მოგეხსენებათ, გასულ წელს გარეჯს შანსი ჰქონდა უმაღლეს ლიგაში გადასულიყო, მაგრამ ამისთვის პლეი-ოფი უნდა მოეგო და მათი მეტოქე სწორედ „სამტრედია“ იყო. მაშინ იმერლებმა იმარჯვეს და „გარეჯი“ ისევ ლიგა-2-ში ჩატოვეს.

ჰოდა, 27 ივლისს, საგარეჯოს სტადიონზე შეკრებელი მაყურებელი რევანშს ელოდა და გუნდმაც იმედები არ გაუცრუა, – „გარეჯი-1960“-მა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და 5:0 გაანადგურა. მატჩის ბედი უკვე პირველ ტაიმში გადაწყდა, როცა ლევან პაპავამ მე-8 და 27-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა, ამას 37-ე წუთზე ბადრი გოგობერიშვილის გოლი მოჰყვა და შესვენებაზე მასპინძლები სოლიდური უპირატესობით გავიდნენ.

გარეჯელებს ტემპი არც მეორე ტაიმში დაუგდიათ და ***ლევან პაპავამ*** ჰეთ-თრიკი შეასრულა 72-ე წუთზე, ხოლო 89-ე წუთზე ***ვალერი ოლხოვმა*** მეხუთე გოლიც გაიტანა და საბოლოო წერტილიც დასვა 5:0.

მეოთხედფინალში „გარეჯი-1960“ 18 სექტემბერს „კოლხეთი-1913“-ს მიიღებს საკუთარ მოედანზე და კიდევ ერთი რევანშის აღებას ეცდება. თუ გასულ სეზონში სამტრედიასთან ჩვენებურებმა პლეი-ოფში წააგეს, კოლხეთმა ბოლო მატჩში გამოჰგლიჯა პირველი ადგილი „გარეჯს“ და ამით უმაღლეს ლიგაში ადგილი გაინაღდა. ასე, რომ იმედი გვაქვს გარეჯელები ფოთელებთანაც დამაჯერებელი რევანშით გაახარებენ თავის გულშემატკივრებს.

რაც შეეხება მეორე ლიგის მატჩებს, იგი 5 აგვისტოს „გარეჯი“ : „ლოკომოტივის“ მატჩით განახლდა. გარეჯელებმა მეტოქე მინიმალური სხვაობით, მატჩის 28-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით დაამარცხეს.

შემდეგ, მე-19 ტურში კი გარეჯელებმა უკვე დუშეთის „არაგვს“ უმასპინძლეს და ეს შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაასრულეს. გოლები ***ლევან პაპავამ და ჯაბა კასრელიშვილმა*** გაიტანეს.

17 აგვისტოს გარეჯმა საკუთარ მოედანზე თბილისის „სპაერს“ უმასპინძლა და მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში.

ანგარიში გარეჯელთა სენეგალელმა ლეგიონერმა **მუსა სამასამ** გახსნა. შემდეგ კი დუბლები შეასრულეს **ლევან პაპავამ და პაპუნა ფონიავამ.** ამას სპაერელებმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს და მატჩი 5:1 დასრულდა.

ამ მოგების შემდეგ „გარეჯი-1960“-ს 32 ქულა დაუგროვდა და გათამაშების ცხრილში მეოთხე ადგილზე იმყოფება. მას პლეი-ოფისაგან, ანუ მესამე ადგილისაგან 3 ქულა აშორებს, ხოლო პირველ ადგილზე მყოფ რუსთავს 8 ქულით ჩამორჩება

შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასული გუნდი პირდაპირ გადადის უმაღლეს ლიგაში, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე გასულები პლეი-ოფის მატჩებს თამაშობენ უმაღლეს ლიგაში ბოლო ორ ადგილზე გასულ გუნდებთან.

შემდეგ მატჩს „გარეჯი-1960“ სტუმრად გამართავს თბილისის „ვიტ-ჯორჯიასთან“.

ზურაბ აგულაშვილი

მილოცვა



დაბადებიდან 77 წლის შესრულებას ვულოცავთ ქართული ძიუდოს სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ტიტულოვან მოჭიდავეს და საქართველოს ლეგენდარულ სპორტსმენს **გივი ონაშვილს,** იგი არის 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1969) ევროპის ჩემპიონი გუნდურ (1970) და პირად შეჯიბრში (1974, 1975), 3-გზის მეორე (1969, 1972, 1976) და მესამე (1971) პრიზიორი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1973) და ბრინჯაოს პრიზიორი (1975), ასევე საბჭოთა კავშირის 2-გზის ჩემპიონი სამბოში (1970, 1972).

ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, სიცოცხლესა და გახარებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

მას წელს 60 წელი შეუსრულდებოდა

გოგა მაისურაძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში

იმარჯვეს საგარეჯოს ფეხბურთელებმა

მუნიციპალიტეტში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა „გარეჯის“ ყოფილი ფეხბურთელისა და მთავარი მწვრთნელის, ამ ქვეყნიდან უდროოდ გასული მოთამაშის გოგა მაისურაძის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში. ეს ტურნირი ყოველწლიურად ივლისში იმართება და ფინალური შეჯიბრება სიმბოლურად გოგას დაბადების დღეს ტარდება. წელს ეს ტურნირი უკვე მესამედ ჩატარდა. და ორგანიზატორი, როგორც ყოველთვის, ***მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის სამსახურია*** (მთავარი სპეციალისტი **გიორგი კოხტაშვილი**), აქვე აღსანიშნავია ის, რომ წელს ეს ტურნირი გოგას 60 წლისთავს დაემთხვა. და მას მონაწილე გუნდების რაოდენობა ნამდვილად არ აკლდა. მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქ საგარეჯოდან. საბოლოო ჯამში ასპარეზობაში 11 გუნდი: „გარეჯი სითი“, „ეგარი“, „ცხონებულები“, „უდაბნო“, „უდაბნო-2“, „ლა მახია“, „ნინოწმინდა“, „მანავი“, „გარეჯელები“, „პადკასტი“, „ფიცხელი“ იღებდა მონაწილეობას. მათ აქტივობას ხელს უწყობდა ***მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოებიც.*** კერძოდ, პირველ ადგილზე გუნდისათვის დაწესებული იყო 1000 (ათასი) ლარი, მეორეზე – 700 და მესამე ადგილისათვის 500 ლარი. ასევე სიგელ;ები, მედლები და პრიზები – საუკეთესო ფეხბურთელის, მეკარისა და მცველისათვის.

საბოლოო შედეგებით 60 წლის ფეხბურთელის პორტრეტით დამშვენებულ საგარეჯოს სტადიონზე I, II, III ადგილებისა და სხვა ჯილდოების მოსაპოვებლად მებრძოლი გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ასპარეზობა 18 საათზე დაიწყო და პირველად მესამე ადგილისათვის ერთმანეთს „ცხონებულები“ და „ეგარის“ გუნდები დაუპირისპირდნენ, სადაც გამარჯვება „ეგარის“ ფეხბურთელებმა იზეიმეს. ამის შემდეგ მოედანზე პირველი ადგილისათვის მებრძოლი გუნდები „გარეჯი“ და „უდაბნო“ გამოვიდნენ, რომელიც გარეჯელების გამარჯვებით 5:0 დამთავრდა. ბურთები გაიტანეს გიორგი ნიჟარაძემ – 3, შოთა ივანიშვილმა და რეზო თარიმანიშვილმა.

გამარჯვებულები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: 1. გიორგი ესაიაშვილი, 2. არჩილ ბუზარიაშვილი 3. რეზო თარიმანიშვილი 4.ლუკა გორგილაძე 5. შოთა ოკინაშვილი 6. გიორგი გველესიანი 7. აკაკი თულაშვილი 8. გიორგი ჯინჯიხაძე 9. თორნიკე ფოცხვერაშვილი 10 გიორგი ნიჟარაძე.

თამაშების დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **არჩილ ჯაბადარმა** მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის სახელით მადლობა გადაუხადა ტურნირში მონაწილე გუნდების ფეხბურთელებსა და ასპარეზობის მსაჯებს ამ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობასა და ამით გოგა მაისურაძის ხსოვნის პატივისცემისათვის და აღუთქვა, რომ ეს ტურნირი მომავალ წლებშიც წარმატებით გაგრძელდება. მანვე გამარჯვებულ გუნდებსა და მოთამაშეებს გადასცა დაწესებული პრიზები და ჯილდოები, რაშიც მონაწილეობდნენ გოგა მაისურაძის ქალიშვილი ნინო მაისურაძე და შვილიშვილები – რატი და გეგა.

ტურნირზე დაწესებული საუკეთესო მცველის პრიზი დაიმსახურა „ეგარის “ მცველმა ვალერი ქევხიშვილმა, საუკეთესო მეკარის („ოქროს ხელთათმანი“) – „გარეჯის“ მეკარემ არჩილ ბუზარიაშვილმა, „საუკეთესო ფეხბურთელის“ პრიზი – „ოქროს ბუცი“ – რეზო თარიმანაშვილმა. გამარჯვებულ გუნდებს ასევე დაურიგდათ დაწესებული ფულადი ჯილდოები.

საგარეჯოში

მადლიერების მისამართები

ქ. საგარეჯოში, ერეკლე მეორის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან **ემზარ კუჭუაშვილთან** ერთად ადგილობრივ მაცხოვრებლებს შეხვდა და მნიშვნელოვანი პროექტის დასრულება მიულოცა.

სიმბოლურად **ავთანდილ გულიკაშვილს** ამხანაგობის თავმჯდომარემ ადგილობრივების სახელით მადლობის სიგელი გადასცა - ისტორიული პროექტის განხორციელების ინიციატივისა და სისრულეში მოყვანისთვის.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება და არსებული კორპუსების ფასადების აღდგენით სამუშაოებს სრულად მოიცავს.

ჯგუფ „ურსა"-ს სოლო კონცერტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ქ. საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჯგუფ „ურსა"-ს სოლო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაზე, მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** მოსულ სტუმრებს სიტყვით მიმართა, 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მაღალი აკადემიური ქულების მქონე ოთხ აბიტურიენტს: **თინათინ ძაიხოსროშვილს, გიგი ივანელაშვილს, გიორგი ტიგინაშვილს და ლუკა ლაღაძიშვილს** მიღწეული შედეგები მიულოცა, ფულადი ჯილდო გადასცა, წლის წარმატებული ახალგაზრდის ტიტული მიანიჭა და მადლობა გადაუხადა.

არ დავიწყება ბეჭდაუდებელ ფალავანს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** მოადგილესთან ერთად მოქანდაკეებს შეხვდა და სპორტის ფალავნის - ლევან თედიაშვილის ძეგლის ესკიზზე მუშაობის პროცესი სახელოსნოში მოინახულა. გარკვეული რეკომენდაციები გააცნო და განთავსების საკითხზე იმსჯელა. ლევან თედიაშვილის ქანდაკება ქალაქ საგარეჯოში, არსენ მეკოკიშვილის სპორტული დარბაზის მიმდებარედ, არსენ მეკოკიშვილის ბიუსტის გვერდით განთავსდება.

სამუშაო ჯგუფის კონსულტაციების შემდგომ, განისაზღვრა კრიტერიუმები ბრინჯაოს ძეგლის საბოლოო სახის შესაქმნელად და დაიწყო მუშაობა ფუნდამენტის მოსამზადებლად.

ყურადღება!

ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით" (1+4 პროგრამა) მოსარგებლე პირებისათვის

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საჯარო უწყებებთან თანამშრომლობით აცხადებს მიღებას სტაჟირების პროგრამაზე „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით" ("1+4 პროგრამა") მოსარგებლე პირებისათვის. ***სტაჟირების პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საჯარო სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გაცნობა, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.***

პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ კონკურსის საფუძველზე ჩაერთონ სტაჟირების პროცესში. სპეციალურად შექმნილი კომისია უზრუნველყოფს სტაჟიორების შერჩევას შეფასების დადგენილი კრიტერიუმებით. წარმატებული აპლიკანტები 4 თვის განმავლობაში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან სახელმწიფო უწყებებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე"-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს"-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური